საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კიკნაძე ვაჟა ივანეს ძე

კიკნაძე ვაჟა ივანეს ძე (დ. 27. VIII. 1952, ქ. თბილისი), ისტორიკოსი, ისტ. მეცნ. დოქტორი (2006), პროფესორი. 1976 დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი (საქართვ. ისტ. განხრით). იმავე წელს მუშაობა დაიწყო ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. და ეთნოგრ. ინ-ტში (ახლანდ. ისტ. და ეთნოლოგიის ინ-ტი). 2006-12 იყო ამავე ინ-ტის დირექტორი, მთ. მეცნიერი-თანამშრომელი და საქართველოს უნ-ტის პროფესორი. საქართველო – პოლონეთის ურთიერთობებში შეტანილი წვლილისთვის 2012 დაჯილდოებულია პოლონეთის ოფიცრის 1 ხარისხის ჯვრის ორდენით.

კ. იკვლევს საქართვ. შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის საკითხებს. არის სამეცნ. ნაშრომების მ. შ. 7 მონოგრაფიის ავტორი, მისი ნაშრომები გამოცემულია პოლონეთში, რუმინეთსა და მოლდოვაში, ინდოეთში, შვედეთში, იტალიაში, იაპონიასა და აშშ-ში.

თხზ.: საქართველო XIV საუკუნეში, გამომც. „მეცნიერება“, თბ. 1986 ეროვნული და საკაცობრიო პრობლემატიკა XIX ს. ქართველი სასულიერო მოღვაწეების შემოქმედებაში (გაბრიელ ქიქოძე, კირიონ საძაგლიშვილი, პეტრე კონჭოშვილი, მიხეილ საბინინი), თბ., 2009; საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI სს. წგ. I-2, თბ. 2016; Opinions about Political Elite in Georgia at the Beginning of the 20-th Century, in .: Caucasus: The Mechanisms of Legitimization and Functioning of Political Elite (Editor: Tateusz Bodio). T.VII, Warsaw 2012; The Eurasian State of Georgia in the Fourteenth Century. The Mongol Era and it’s End, Edwin Mellen Press, Lewiston, Queenston (NY), Lampeter, 2013.